

## შესავალი

ღირსების კოდექსი წარმოადგენს მოსწავლეთა ქცევის წესებისა და რეგულაციების ერთობლიობას, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სასკოლო ურთიერთობათა კულტურას და სკოლის წარმატებულ განვითარებას. კოდექსი მიზნად ისახავს მოსწავლეთა ჩამოყალიბებას ჰუმანურ, მაღალი შეგნების მქონე, შრომისმოყვარე ადამიანებად; პიროვნებად, რომლებსაც გათავისებული აქვთ თავიანთი მოვალეობები და პასუხისმგებლობები საკუთარი ოჯახების, სკოლისა და ქვეყნის წინაშე.

ღირსეული ქცევა, მოწესრიგებული გარემო, გააზრებული შრომისა და სწავლა - განვითარების დაუშრეტელი სურვილი ქმნის შესაფერის საფუძველს მოსწავლის წარმატებული განვითარებისათვის. როგორც ისტორია გვიჩვენებს, სწორედ მსგავს ნიადაგზე აღზრდილ ადამიანებს შეაქვთ არსებითი წვლილი ერისა და ქვეყნის განვითარებაში, რის შედეგადაც ისინი საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ.

ურთიერთობები მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებს შორის უნდა ემყარებოდეს ერთმანეთის ნდობასა და

პატივისცემას. ეს არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა თანამედროვე, წარმატებული სკოლის ეფექტური ფუნქციონირებისა და სწრაფი განვითარებისათვის.

ღირსების კოდექსის პრაქტიკული მიზანია ისეთი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნა, რომელშიც მშობელი, ბავშვის სკოლაში ყოფნის დროს, თავს მშვიდად იგრძნობს; მასწავლებელი კი გაკვეთილის ჩატარებას და მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემას მშვიდ და ფსიქოლოგიურად ჯანსაღ გარემოში შეძლებს. მხოლოდ ასეთ ვითარებაში მივაღწევთ სასურველ შედეგს - ჩვენი მოსწავლეების განათლებულ, კონკურენტუნარიან და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

### მოქმედების სფერო:

ღირსების კოდექსით გათვალისწინებული წესები და რეგულაციები სავალდებულოა UG-სკოლის ყველა მოსწავლისათვის მიუხედავად მისი რელიგიური, ეთნიკური, სქესობრივი კუთვნილებისა, თუ განსხვავებული მოქალაქეობისა (საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არ მქონე);

სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სკოლის თანამშრომლები და მშობლები ხელს გიწყობენ თქვენ ღირსების კოდექსის დაცვაში, თქვენ კი ხელს უწყობთ თქვენს მეგობრებს - თანაკლასელებს, ან სკოლის სხვა მოსწავლეებს ღირსების კოდექსის მოთხოვნების შესრულებაში.

სკოლისთვის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, უმთავრესია მშვიდი და კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შენარჩუნება დღის ნებისმიერ დროს. მშვიდი განწყობა და წესრიგი მნიშვნელოვანია არა მოხლოდ საკლასო ოთახებში, არამედ **სკოლის დერეფნებში, კიბის ნაკვეთურებსა და კაფეტერიაში**. ჩვენ პატივს უნდა ვცემედეთ ჩვენს ადგილსამყოფელს ყოველთვის და ყველგან.

ურთიერთპატივისცემა სკოლის ფარგლებში ნიშნავს, არ დაარღვიო სხვა მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლება, იმუშაონ და დაისვენონ მშვიდ, ყველასთვის კეთილგანწყობილ გარემოში. ზედმეტი ხმაურის გამომწვევი მოქმედებები - ხმამაღალი შემახილები და გადამახებები, უადგილო წამღერება, კარების ჯახუნი, წრეგადასული სიცილ-ხარხარი და არასაჭირო ხმაურის გამომწვევი სხვა ქმედებები მიუღებელია მაღალი ქცევითი კულტურის მქონე ისეთ სასწავლო დაწესებულებაში, როგორადაც ჩვენ ვვსურს, საკუთარი სკოლა ვიხილოთ.

### **ურთიერთობის ზოგადი პრინციპები:**

სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და სკოლის ყველა მუშაკი თანხმდებიან იმაში, რომ დაუშვებელია მოსწავლის დევნა და დამცირება მისი ეროვნული, თუ რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, კანის ფერის, ფიზიკური ნაკლის თუ სხვა რაიმე ნიშნის გამო. სკოლის თითოეული თანამშრომელი თქვენ გექცევით თავაზიანად, რაც მათი თქვენდამი სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლინებაა.

UG-სკოლის მოსწავლე თავაზიანია მასწავლებლებთან და სკოლის სხვა მუშაკებთან ურთი-

ერთობაში, ემორჩილება მათ კანონიერ მითითებებს.

UG-სკოლის მოსწავლე თავაზიანი და კეთილგანწყობილია სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობაში, გულისხმიერია და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის მზადაა დაეხმაროს თანაკლასელებს, სკოლის სხვა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა თუ თანამშრომლებს.

**UG-სკოლის მოსწავლე ემოჯნება ძალადობას და უსამართლობას, მისთვის მიუღებელია ქურდობა და პლაგიატი:**

ის პატივს სცემს მეორე ადამიანის აზრს, მის განსხვავებულ რელიგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის შეხედულებებს და გამოხატავს აზრებს სხვა პირთა უფლებებისა და ღირსების შელახვის გარეშე.

**ქურდობა**, იმისდა მიუხედავად, თუ რას იპარავ: ძვირადღირებულ, თუ ნაკლებად ფასეულ ნივთს, უღირსი საქციელია და მისი ჩამდენი მოსწავლე უღირს ადამიანად იქცევა, რომელიც არ იმსახურებს სკოლის მოსწავლეებისა და მთელი კოლექტივის თაანდგომას და პატივისცემას.

**ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა** - პლაგიატი. პლაგიატი გულისხმობს სხვისი შრომით შექმნილი მასალის ავტორის მითითების გარეშე გამოყენებას. ასეთი რამ კი შეიძლება იყოს სხვის მიერ ამოხსნილი და მისგან მისი გვარის მითითების გარეშე გადმოწერილი ამოცანა, ციტატები სხვათა მიერ გამოქვეყნებული, ან გამოუქვეყნებელი ნაშრომებიდან, რომლებსაც მოსწავლე იყენებს ავტორის მითითების გარეშე და ამით ცდილობს, სხვისი ნაშრომი თავისად წარმოაჩინოს. პლაგიატი იგივე ქურდობის ჩამდენს უთანაბრდება.

პედაგოგები ზრუნავენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ, თუ როგორ ავიცილოთ პლაგიატობა წერითი სამოშაოს შესრულების დროს.

ისეთი ქმედებები, როგორცაა:

- პიროვნების უპატივცემულობა, შეურაცხყოფა;
- ძალადობა, ან ძალადობის მუქარა;
- ცილისწამება, სიცრუე, დოკუმენტების, ან ინფორმაციის გაყალბება;
- დაცინვა, დამცირება, ან სხვისი ღირსების შელახვისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება;

- ქურდობა მატერიალური და ინტელექტუალური საკუთრების, ან ქურდობის მცდელობა

შეუთავსებელია ღირსეული ადამიანის იმ ხატთან, რომელსაც სკოლა ამკვიდრებს. მოსწავლის ასეთი ქცევის შემთხვევაში საკითხს განიხილავს დისციპლინარული კომისია, რომელიც უფლებამოსილია, მოითხოვოს მისთვის UG-სკოლის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა.

## თავი 2 UG-სკოლის მოსწავლის ქცევის წესები:

### 2.1 UG-სკოლის მოსწავლე:

- უფრთხილდება და არ აზიანებს სხვა პირთა და სკოლის ქონებას;
- მოსწავლე იცავს სისუფთავეს სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე;
- სკოლაში ცხადდება ფორმით და სხვა დაწესებული აქსესუარებით;
- არ იგვიანებს გაკვეთილზე;
- მონაწილეობას იღებს და დროულად ცხადდება სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ თუ გასართობ ღონისძიებაზე.

### 2.2 ქცევის წესები საკლასო ოთახში გაკვეთილის მსვლელობის დროს

#### მოსწავლე:

- თან ატარებს სასწავლო პროცესისათვის საჭირო სახელმძღვანელოებს და სხვა ნივთებს;
- არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე;
- არ იყენებს საკლასო ოთახში მობილურ ტელეფონს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს არასას-



წავლო მიზნებისათვის გაკვეთილის მსვლელობისას;

- არ უშლის ხელს მასწავლებელსა და კლასში მყოფ სხვა მოსწავლეებს გაკვეთილის ჩატარება-ათვივისებაში;
- შესრულებული აქვს მასწავლებლის მიერ წინა გაკვეთილზე მიცემული დავალება;
- აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში, პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს და ასრულებს მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მსვლელობის პროცესში მიცემულ დავალებებს.

### **2.3 ქცევის წესები შესვენების დროს**

- მოსწავლეები სკოლის ნებისმიერ კუთხეში მოძრაობენ და გადაადგილდებიან მშვიდად, ზედმეტი ხმაურის გარეშე;
- მოსწავლე არ დარბის სკოლის დერეფნებში, არ ცდილობს გადაასწროს სხვა მოსწავლეებს კიბის საფეხურებით გადაადგილების დროს;
- ხელის კვრა, ჭიდაობა და სხვა სახის ძალისმიერი ქმედება აკრძალულია სკოლის მთელ ტერიტორიაზე.

## 2.4 ქვევის წესები გამოცდების, საკონტროლო წერების და სვა სახის წერთი გამოკითხვის დროს:

- მოსწავლე პატიოსნად ემზადება გამოცდებისათვის და არ ცდილობს უღირსი გზებით საგამოცდო საკითხების ხელში ჩაგდებას, ან რაიმე სახით გამოცდების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენას.
- საგამოცდო აუდიტორიაში, ან საკლასო ოთახში, სადაც უნდა ჩატარდეს გამოცდა, ცხადდება მისთვის საგანგებოდ მითითებულ დროს;
- არ ცდილობს, გააყალბოს გამოცდის შედეგები ნებადაურთავი ჩანაწერების, ან სხვა სახის მასალების გამოყენებით;
- საგამოცდო აუდიტორიაში, ან საკლასო ოთახში, სადაც გამოცდა მიმდინარეობს მობილური ტელეფონები გამორთულია და დევს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.
- პედაგოგის ნებართვის გარეშე, სხვადასხვა ტექნიკური საშუალების, მათ შორის კალგულატორის, გამოყენებაც ნებადართული არ არის.
- მოსწავლე, რომელიც გამოცდების მსვლელობის დროს არღვევს ღირსების კოდექსს

სის აღნიშნულ წესებს, არ დაიშვება გამოცდაზე, ან, თუ უკვე გამოცდის წერის პროცესშია, მოიხსნება გამოცდიდან და ნაშრომის შეფასება განულდება.

**გამოცდებზე, საკონტროლო წერებზე, ან სხვა სახის წერითი თუ ზეპირი გამოკითხვის დროს ზემოთაღნიშნული წესების დაცვა UG-სკოლის მოსწავლის პირადი ღირსების საქმეა!**

## **2.5 ბიბლიოთეკაში ქცევის წესები:**

- მოსწავლე ბიბლიოთეკის რესურსის დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;
- მოსწავლეს ეკრძალება ბიბლიოთეკიდან ნებისმიერი რესურსის თვითნებურად გატანა.
- ბიბლიოთეკაში აკრძალულია რაიმე სახის ხმაური ან ტელეფონზე საუბარი.
- მოსწავლეს ეკრძალება ბიბლიოთეკაში სასმელის შეტანა.

## თავის 3 ქცევის წესების დარღვევათა მართვა

### 3.1 სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის დარღვევათა მართვის პროცედურა

სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის მსვლელობის შეფერხების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია მოსწავლის შეუფერებელი ქმედებით (ხმაური, სიცილი, თანაკლასელებთან გადალაპარაკება და სხვა), მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ე. წ. „თაიმაუტის“ პროცედურა - დაითხოვოს მოსწავლე კლასიდან და გააგზავნოს იგი სკოლის ადმინისტრატორის ოფისში. გაკვეთილის დარჩენილ დროს მოსწავლე გაატარებს მისთვის შერჩეულ მშვიდ, იზოლირებულ გარემოში, სადაც იგი გააგრძელებს მუშაობას შესაბამის საგაკვეთილო თემაზე. **მოსწავლის მიერ კლასის დატოვება ხდება მშვიდად**, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. შელაპარაკება ან დაუმორჩილებლობა მასწავლებლის ამ გადაწყვეტილების მიმართ განხილული იქნება სკოლაში ქცევის წესების უხეშ დაღვევად, აქედან გამომდინარე შესაბამისი რეაგირებით.

„თაიმაუტის“ სამჯერ გამეორების შემთხვევაში მოსწავლე იღებს წერილობით საყვედურსა და გაფრთხილებას, რომლის ასლიც გადაეგზავნება მშობელს.

მოსწავლის მიერ სასკოლო ქცევის წესების შემდგომი დარღვევის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია, მშობლის თანდასწრებითა და თანამონაწილეობით, აფორმებს შეთანხმებას - ქცევის კონტრაქტს მოსწავლესთან. ამ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს შეუწყდება UG-სკოლის მოსწავლის სტატუსი წესდებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

### **3.2 სასკოლო წესების ჯგუფურ დარღვევათა მართვის პროცედურა**

სასკოლო წესების ჯგუფური დარღვევა (სკოლიდან გაპარვა, სასკოლო ინვენტარის განზრახ დაზიანება და სხვა ჯგუფური ან ჯგუფის თანდასწრებით ჩადენილი დარღვევა) პირველ შემთხვევაში ითვალისწინებს ჯგუფურ ფინანსურ პასუხისმგებლობას. მიუხედავად მიყენებული მატერიალური ან მორალური ზარალის სიმცირისა, ყოველი მოსწავლის ოჯახს მოუწევს წინასწარ ფიქსირებული თანხის გადახდა.

### **3.3 შესვენების დროს ქცევის წესების დარღვევათა მართვის პროცედურა**

ზედმეტი ხმაურის განზრახ გამოწვევა შესვენების დროს (ყვირილი, წამღერება, გადაძახება), რომელიც ხელს უშლის მოსწავლეთა და მასწავლე-

ბელთა დასვენების პროცესს არ არის მიღებული ჩვენ სკოლაში.

შესვენების დროს სხვადასხვა სახის ძალის-  
მიერი ქმედებები (ხელის კვრა, ჭიდაობა) იწვევს  
სკოლაში არასასურველ ქაოსს და ზოგ შემთხვე-  
ვაში, **მოსწავლის სხეულის მძიმე დაზიანებით მთა-  
ვრდება.** შესაძლო არასასიამოვნო და გამოუსწორე-  
ბელი შედეგების თავიდან ასაცილებლად სკოლის  
ადმინისტრაცია კრძალავს მსგავს ქმედებებს სკო-  
ლის მთელ ტერიტორიაზე. ამგვარ ქცევაში შემჩ-  
ნეული მოსწავლე იღებს **გაფრთხილებას დისციპ-  
ლინარულ ჟურნალში შეტანით.** მსგავსი ქცევის  
განმეორების შემთხვევაში მოსწავლე იღებს **წერი-  
ლობით საყვედურს, რომლის ასლიც გადაეგზავ-  
ნება მშობელს.**

მოსწავლის მიერ სასკოლო ქცევის წესების შე-  
მდგომი დარღვევის შემთხვევაში ასეთი მოსწავ-  
ლის მიმართ მიღებული იქნება სკოლის წესდებით  
გათვალისწინებული უფრო ქმედითი ზომები.

## თავი 4 UG-სკოლის მოსწავლის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედება:

### მოსწავლე

- არ ატარებს იარაღს და ბასრ ნივთებს, ასაფეთქებელ და მომწამლავ ნივთიერებებს, ისეთ ნივთიერებებს, რომლებზემაც შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი (მათ შორის ასანთი და სანთებელა), ან შეიძლება გამოყენებული იქნენ იარაღად, ან სხვა მოსწავლის, ან სკოლის მუშაკის დასაშინებლად;
- არ მოიხმარს ალკოჰოლურ საშუალებებს;
- არ თამაშობს აზარტულ თამაშებს;
- ექიმის ნებართვის გარეშე არ მოიხმარს და არ ატარებს ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს;
- არ ატარებს და არ ეწევა თამბაქოს;
- არ დააქვს სკოლაში ძვირადღირებული ნივთები და ფული, რომელიც აღემატება 10 ლარს;
- არ ატარებს უხამსობის ამსახველ ფოტოებს ან სხვა ნივთებს.

ასეთ ქმედებაში შემჩნეულ მოსწავლეს შეუწყდება UG-სკოლის მოსწავლის სტატუსი წესდებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

და ბოლოს,

გვინდა იცოდეთ, რომ ჩვენი სკოლის ღირსების კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი წესი, პროცედურა ან ქმედება თავის ძირითად მიზნად ისახავს თქვენი პირადი უსაფრთხოების სრულ უზრუნველყოფას და ნაკარნახევია ერთი სურვილით - შეიქმნას იუჯი სკოლის ყოველი მოსწავლის წარმატებული სწავლისა და განვითარებისათვის საჭირო მაქსიმალური კომფორტი და თავისუფლება.